ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723271001
თარიღი:28/09/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-16

დ. ლენტეხი. 22სექტემბერი.2023წ.

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 4(ოთხი) წევრი.

სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი სოზარ ბეხდელიანი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი მაყვალა ჩახქსელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N-ბ-97.97230902 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ს. ავალიანი/

2. **სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.**

   /მომხს. საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

3. **სხვადასხვა.**

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე 17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა სხდომის წევრებს გააცნო

განკარგულების პროექტი - ,,2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N-ბ-97.97230902 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ მოახლეობასთან შეხვედრის ფორმატში მოსახლეობამ აირჩია პროექტი - წყლის სისტემის რეაბილიტაცია. შემდეგ შეიცვალა მოსახლეობის ჩანაფიქრი და უპირატესობა მიენიჭა გზის რეაბილიტაციას.

საკრებულოს წევრებს განსხვავებული მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ.

გადაწყვეტილების მიღების მიზნი ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი ,,2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N-ბ-97.97230902 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოისმინეს: საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემულია 14 რეკომენდაცია და შიდა აუდიტი აწარმოებს მონიტორინგს ამ რეკომენდაციების შესრულებაზე. საფინანსო კომისიამ მოიწვია კომისიის სხდომაზე აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი და მოისმინა სრულყოფილი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ვადების დაცვით. (შესაბამისი მასალა ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა -კარგია, რომ აუდიტის სამსახური ნაყოფიერად მუშაობს რეკომენდაციების შესრულებაზე. უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მოვისმენთ ოქტომბრის თვის ბოლოს.

საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრის საფუძველზე მომხრე 17

წინააღმდეგი -0

დადებითად შეაფასეს საფინანსო კომისიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3 სხვადასხვა:

1.მოისმინეს: ოპოზიციური ფრაქციის,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გოგა სავრეშიანმა დააყენა საკითხი;

ინფრასტრუქტურის სამსახურმა თემში განსახორციელებელი პროექტები განსაზღვროს პირველ რიგში დეპუტატთან (როგორც თემიდან ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის პირთან) კოლსუნტაციების შედეგად და ასევე რწმუნებულთან (როგორც ირიბად,ასევე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პირთან) შეთანხმების საფუძველზე, რაც გააჯანსაღებს მდგომარეობას და ადგილობრივი ხელისუფლება ამ ნაწილში იქნება სრულად მოსახლეობის ნების გამომხატველი.

აზრი გამოთქვეს: დეპუტატებმა მევლუდ ლიპარტელიანმა და ირაკლი ქურასბრდიანმა - აბსოლიტურად სწორად არის დაყენებული საკითხი. საკრებულოს მიერ დამტკიცებულია პრიორიტეტების დოკუმენტი და მერია უნდა ხელმძღვანელობდეს ამ დოკუმენტით. მომავალში ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შესაბამისმა ორგანომ.

2. ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ბენდელიანმა დააფიქსირა ინციატივა:

ფრაქცია ,, მოქალაქეები საქართველოსთვის “ შემოვდივართ ინიციატივით (მოსახლეობის განცხადების საფუძველზე) გადაიხედოს და ცვლილებები შევიდეს ლენტეხისინფრასტრუქტურულ პროექტებში. განსაკუთრებით სკვერებთან მიმართებით. ლენტეხის შ. ბენდელიანის სახელობის სკვერში გაკეთდეს არა ბეტონის, არამედ კაუჩუკის საფარი,რათა დაცული იქნას ბავშვთა უსაფრთხოება .მით უმეტეს, რომ გვაქვს არაერთი მაგალითიბავშვების დაშავებისა. ასევე დროულად გაიხსნას კულტურის სახლი და ბავშვებს მიეცეთ საშუალება სხვადასხვა წრეში სათანადო გარემოში იმუშაონ. მაგალითად, ქორეოგრაფიის წრე მუშაობს ახალგაზრდულ სახლში , სადაც ცეკვის შესწავლა მინის კედელზე დაყრდნობით ხდება ,რაც საფრთხის შემცვლელია. კარგი იქნება , თუ ბანერები გამართული ქართულით, სალიტერატურო ნორმების დაცვით დაიწერება და არ იქნება დაშვებული შეცდომები ეს ეხება მერიის წინ და გზაჯვარედინზე გაკეთებულ ბანერებს.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ფრაქციამ

საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაყენებამდე ფრაქციის სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ, ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის შესაბ.

საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი